ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5884127

ნომერი: AR1888020

თარიღი : 21.03.2022

გაცემის თარიღი : 06.04.2022

გაცნობის თარიღი : 06.04.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალ. ჭავჭავაძე , N 21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თამაზი მურვანიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "არქიკოლეგიუმი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405004043

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2022 წლის 21 მარტის AR1888020 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ალ. ჭავჭავაძის ქ. N21-ში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით +6.00 ნიშნულზე სათავსი არ წარმოადგენს მანსარდს; საჭიროა დაცულ იქნას მაქსიმალური სიმაღლე. ხდება შენობის გადაკვეთა, რაც დაუშვებელია. ამასთანავე განგიმარატვთ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილების მიხედვით მანსარდა არის „საცხოვრებლად/სამყოფად გამოყენებული სხვენი, რომლის სახურავის სიბრტყისა და ფასადის გადაკვეთის ხაზი არ შეიძლება იყოს სხვენის იატაკის გეგმარებითი ნიშნულიდან 1,6 მეტრზე მეტ სიმაღლეზე“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება თქვენი 2022 წლის 21 მარტის AR1888020 განაცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

სამსახური საკითხზე მსჯელობას დაუბრუნდება ახალი განაცხადით კანონდმებლობასთან შესაბამისობაში მოყვანილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.